

„ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და ანალიზის შესახებ“
 2024 წლის 8 აგვისტოს გ-24-9/361 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზნით 2024 წლის 17 ოქტომბრის N გ-24-23/459
 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების
 განხილვის ცხრილი

კომენტარის წარმდგენი სუბიექტი	კომენტარი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე
<p>შპს „მაგთიკომი“</p> <p>შპს „მაგთიკომის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის Nშ- 24-6/4924, რეგისტრაციის თარიღი: 18.11.2024)</p>	<p>1) 2019-2020 წლის მოდელში „ფასების ცვლილების კოეფიციენტი“ განსაზღვრულია ნულოვანი განაკვეთით ინფრასტრუქტურული ნაწილის 11 პოზიციაზე, მაშინ როდესაც 2024 წლის მოდელში ის შეცვლილი გაქვთ 5%-ით. გთხოვთ განგვიმართოთ, რას ეფუძნება „ფასების ცვლილების კოეფიციენტის“ ცვლილება ორ მოდელს (2019 და 2024 წლების) შორის.</p>	<p>„ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და ანალიზის შესახებ“ 2024 წლის 8 აგვისტოს გ-24-9/361 გადაწყვეტილების ფარგლებში ფიქსირებულ ქსელზე საბითუმო დაშვების ტარიფის კალკულაციის მოდელში ფასების ცვლილების კოეფიციენტების განსაზღვრისას ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების დახმარების (AA Facility II) პროექტის ფარგლებში დაქირავებული საკონსულტაციო კომპანია გრანთ თორნთონის კონსულტანტების მიერ მოხდა 2019 წელს კომისიის მიერ ე.წ. ბითსტრიმ ტარიფების გაანგარიშებისას გამოყენებული მაჩვენებლების შეფასება და გაანალიზდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები(ინფლაცია, გაცვლითი კურსი) 2023 წელთან მიმართებაში. ვინაიდან მოდელის შევსების მომენტში ამ მაჩვენებლების კუთხით მნიშვნელოვანი გადახრა არ ყოფილა 2019 წელთან მიმართებაში, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უმეტეს პოზიციებზე 2019 წლისმონაცემების გამოყენება. დამატებით აღსანიშნავია, რომ WACC-ის გაანგარიშებაში შემაჯავრო კომპონენტები, მაგალითად, როგორცაა ურისკო საპროცენტო განაკვეთი, კაპიტალის რისკის პრემია და</p>

		<p>ბეტა კოეფიციენტი, შეესაბამება მაღალ ინფლაციურ ეკონომიკურ გარემოს.</p>
--	--	--

	<p>2) ორ მოდელში გამოყენებული პოზიციების ფასები ადასტურებს, რომ თქვენი „ექსპერტული შეფასება“ მცდარია, რამეთუ ორ მოდელში წარმოდგენილია ფასები მრავალ პოზიციაზე, რაც ფასების ცვლილების რეალური მაჩვენებლების დადგენის საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, კომისიას გამორჩა მხედველობიდან ფაქტიური ფასების შედარების განხორციელება და დაეყრდნო ე.წ „ექსპერტულ შეფასებას“. შედეგები კი მარტივი სანახავია:</p> <ul style="list-style-type: none"> - შედარებად 10 პოზიციაზე 2019 წელს წარმოდგენილი ფასები შემცირდა 2024 წელთან მიმართებით, მაგრამ კომისიას წლიური ზრდის განაკვეთად მაინც 15% აქვს გამოყენებული; - ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებზე 4 წლის დამორებით შედგენილ მოდელებში ფასების ზრდის ფაქტიური განაკვეთი წლიურ 0.7%-ს შეადგენს, თუმცა კომისია მოდელში მაინც 15%-იანი გაძვირების განაკვეთით ხელმძღვანელობს; - საკანალიზაციო ჭებსა და ორი ტიპის ოდფ-ზე ფასების გაწლიურებული ზრდა საშუალოდ 1.9%, თუმცა კომისია მოდელში მაინც 15%-ს იყენებს. 	<p>2019 წელს ბიტსრიმ დაშვების ტარიფის კალკულაციის მიზნებისთვის გამოთხოვილი აქტივების ნაწილი და მათი ფასები სრულად და მართებულად არ ასახავს აქტივებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯების კომპონენტებს, რაც არაერთხელ აღინიშნა შპს “მაგთიკომის” წარმომადგენლების მიერ, როგორც წერილობითი ფორმით, ისე კომისიის წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო შეხვედრებზე. შესაბამისად, 2019 წლის მოდელში ასახული ფასები ვერ იქნებოდა მიჩნეული ბიტსტრიმ ტარიფის კალკულაციის 2024 წლის მოდელში ასახული აქტივების ფასების შესადარის მაჩვენებლებად. აღნიშნულს კიდევ უფრო ამტკიცებს მოცემულობა, რომ გარკვეულ კომპონენტებზე 2019 და 2023 წლის მონაცემების შედარება ფასების ზრდის არაადეკვატურად მაღალ ზრდის რიცხვებზე მიუთითებს.</p>
--	---	--

	<p>3) მოდელში არასწორად არის გამოყენებული აქტივების სასიცოცხლო ვადები. მოდელში მოცემული 41 პოზიციიდან 21 პოზიციაზე მითითებულია ბიტსტრიმ დაშვების ტარიფების დათვლის მიზნებისთვის ჩვენგან გამოთხოვილი ინფორმაციისგან განსხვავებული სასიცოცხლო ვადები. აუცილებელია აღნიშნული მაჩვენებლების შესაბამისობაში მოყვანა.</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ გაუნათებელი ღერების და მონაცემთა გადაცემის ტარიფების დასათვლელად გამოყენებულ მოდელში მოყვანილი „ფასების ცვლილების კოეფიციენტები“ არ შეესაბამება რეალობას, აუცილებელია განხორციელდეს მოდელის განახლება სწორი „ფასების ცვლილების კოეფიციენტები“ ჩასმითა და მრავალი სხვა ახალი გარემოების გათვალისწინებით.</p>	<p>აქტივების სასიცოცხლო ვადები განისაზღვრა, ინდუსტრიის სტანდარტების და ევროკომისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობით.</p> <p>კერძოდ, პასიურ ინფრასტრუქტურაზე სასიცოცხლო ციკლი განისაზღვრა მოხდა კონკურენციის ხელშეწყობისა და ფართოზოლოვანი საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებებისა და ხარჯთაღრიცხვის მეთოდოლოგიების შესახებ ევროკომისიის 2013 წლის რეკომენდაციაზე¹ დაყრდნობით, ხოლო დანარჩენ აქტივებზე სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა ინდუსტრიის პრაქტიკაში მიღებული სტანდარტები.²</p>
--	--	---

¹ [EUR-Lex - 32013H0466 - EN - EUR-Lex](#)

² <https://www.thefoa.org/FiberFAQs.html#Fiber/Cable>; [Expected Life time of copy](#)

	<p>4) შპს „მაგთიკომის“ აქტივების გამძირებით მიღებული ეფექტი არ მატერიალიზდება, შესაბამისად კომისიამ არ უნდა გამოიყენოს მოდიფიცირებული ანუიტეტის ფორმულა. უკიდურეს შემთხვევაში, მოდიფიცირებული ანუიტეტის გამოყენებისას, ფასების ცვლილების განაკვეთად აღებულ უნდა იქნას საქართველოს ინფლაციის განაკვეთი და არა ფასის ზრდის ხელოვნური მაჩვენებლები, რომლებიც 50-ჯერ აღმატება ქვეყანაში ოფიციალურად დადასტურებულ ფასების ცვლილების განაკვეთს (ინფლაციის მაჩვენებელს).</p> <p>„ფასების ცვლილების კოეფიციენტი“ ნაწილში დასტურდება განაკვეთების შესწავლის და გადათვლის საჭიროება, აქტივების სასიცოცხლო ვადების შესაბამისობაში მოყვანა და/ან ანუიტეტის დათვლის მეთოდის ცვლილების აუცილებლობა.</p>	<p>ბიტსტრიმ ტარიფის კალკულაციის მოდელი აგებულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად ზუსტად ასახოს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებული რეალური გარემო. ტარიფის გაანგარიშებაში ჩართული ექსპერტების და კომისიის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით მოდიფიცირებული გადახრილი ანუიტეტი ბაზარზე არსებულ გარემოს ყველაზე სწორად აღწერს, რადგან მასში ერთი მხრივ გათვალისწინებულია აქტივის მშენებლობის პერიოდი, რა პერიოდშიც კომპანია ვერ აგენერირებს შემოსავალს აღნიშნული აქტივიდან, ხოლო მეორე მხრივ, გათვალისწინებულია ბაზარზე არსებული აქტივების ფასების დინამიკა, რომელიც აისახება მისი ფასების ცვლილების კოეფიციენტში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გადახრილი ანუიტეტი ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე მეტად გამოყენებული მიდგომაა.³</p> <p>ფასების ცვლილების დადებითი განაკვეთი აჩვენებს აქტივის გამძირებას მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, რაც, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში, ასახავს ბაზარზე ახალი შემსვლელი ან უკვე დამკვიდრებული მცირე და საშუალო მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესვლის ან გაფართოების ბარიერის ზრდას, იქიდან გამომდინარე, რომ მისთვის ქსელის მოწყობის ღირებულება იზრდება. შესაბამისად, დაშვების სერვისის გამოყენება ასეთი მოთამაშეებისთვის უფრო მეტ ღირებულებას იძენს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული კოეფიციენტი შპს „მაგთიკომისთვის“ დაშვების მომსახურების გამოყენებაზე მოთხოვნის ზრდაში დაკონვერტირდეს, რაც მისთვის დამატებით შემოსავალს დააგენერირებს.</p> <p>გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ფასის ცვლილების განაკვეთის ზრდა კომისიისთვის შესაძლოა გახდეს</p>
--	---	--

³ BEREC Report Regulatory Accounting in Practice 2023 p. 59

		<p>საფუძველი გადაიანგარიშოს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების განაკვეთი (WACC), რაც მოდელში განსაზღვრულია, როგორც გონივრული უკუგების მაჩვენებელი დაშვების მიმწოდებლისთვის. ფასის ცვლილების კოეფიციენტის პირდაპირი შედარება კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაში ასახულ ქვეყნის ინფლაციასთან არ არის მიზანშეწონილი, იქიდან გამომდინარე, რომ საბაზო ინფლაცია ითვალისწინებს ფასების ცვლილებას სამომხმარებლო კალატში განთავსებულ მომსახურებებსა თუ პროდუქტებზე, შესაბამისად, აქტივის ფასის ცვლილების ეფექტი ინფლაციის განაკვეთში აისახება სამომხმარებლო კალატში მისი შესაბამისი წონის გათვალისწინებით.</p>

	<p>5) სრულებით გაუგებარია, რას ეფუძნება კომისიის გამუდმებული პასუხი, რომ ინსტალაციის ღირებულებაში შეყვანილ უნდა იქნას მხოლოდ კაბელების ღირებულება, რამეთუ დანარჩენი ხარჯები ე.წ. Mark-up-ებში აისახება. ვიმეორებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი Mark-up განაკვეთები მოიცავს ხელფასების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც არ კაპიტალიზდება. მეორე მხრივ, კაპიტალური სამუშაოებისთვის გაწეული შრომის ანაზღაურება - კაპიტალიზდება. მოდელში ინსტალაციების ღირებულებაში ხელფასების არგათვალისწინება უხეში შეცდომაა და ეწინააღმდეგება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, გთხოვთ, აღმოფხვრათ ეს არსებითი შეუსაბამობა.</p>	<p>კომისიამ გაითვალისწინა შპს “მაგთიკომის” მიერ აღნიშნულ კომენტარში ასახული გარემოება და განახორციელა შპს “მაგთიკომის” მიერ 2023 წლის განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგებაში წარმოდგენილი კაპიტალიზებადი სახელფასო ხარჯის განაწილება ინსტალაციის მომსახურებაზე.</p>
--	--	---

<p>6) როგორც კომისიას უნდა მოეხსენებოდეს, საინსტალაციო სამუშაოებისას აბონენტებთან გამოიყენება კაბელის ორი სიგრძე - 150 (კერძო სახლი) და 50 (ბინა) მეტრი. შესაბამისად, თქვენს კალკულაციაში, სულ მცირე, ამ ორი რიცხვის საშუალო უნდა გამოგეყენებინათ ან უფრო სწორი მიდგომა იქნებოდა კაბელის საშუალო შეწონილი სიგრძის დაანგარიშება. კერძო სახლებისა და კორპუსებში აბონენტების წილების მაჩვენებლების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • კერძო სახლები - 46.8%; • კორპუსები - 53.2%. <p>კაბელის საშუალო შეწონილი სიგრძე გამოდის 96,8 მეტრი ერთ აბონენტზე, ნაცვლად კომისიის მიერ დაანგარიშებული 83.3 მეტრისა.</p>		<p>აღნიშნულ კომენტარში ასახული გარემოება გათვალისწინებულ იქნა. შესაბამისად, ინსტალაციის მომსახურებაში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების სიგრძეების განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა კაბელების სიგრძეების საშუალო შეწონილი მაჩვენებელი, ამავე კომენტარში წარმოდგენილი აბონენტების განაწილების პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებით დასახლების ტიპების მიხედვით (კერძო სახლები და კორპუსული ტიპის დასახლებები).</p>
<p>7) კომისია მოდელში აბონენტების სასიცოცხლო ვადად იყენებს 8 წელს. ჩვენი საბილინგო მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი ასევე უნდა შეიცვალოს 56 თვით.</p>		<p>ვინაიდან ადგილობრივ ბაზარზე აქამდე არ ჰქონია ადგილი ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების მომსახურების გამოყენების პრაქტიკას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აბონენტის სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრისას გათვალისწინებულიყო სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებული პრაქტიკა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლის საშუალო სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრისთვის საცალო მომხმარებლის სასიცოცხლო ციკლის მაჩვენებლის გამოყენება არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, რადგან სხვა ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით საბითუმო მომხმარებლის სასიცოცხლო ციკლი განსხვავებულია, ზოგადად უფრო მაღალი, ვიდრე საცალოსი და ამასთან, საბითუმო მომხმარებლის სასიცოცხლო ციკლის მაჩვენებელი აფასებს საბითუმო აბონენტის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ მოლოდინს -</p>

		<p>რამდენი ხანი ისარგებლებს საბითუმო აბონენტი ოპერატორის ქსელით.</p> <p>გარდა ამისა, კომისიის მიერ 2024 წლის 8 აგვისტოს N გ-24-9 / 361 გადაწყვეტილებით განსაზღვრული დაშვების ვალდებულება შემუშავებულია საინვესტიციო კიბის პრინციპის გათვალისწინებით, რაც თავის თავში მოიცავს საბითუმო მომხმარებლისთვის დაშვების მომსახურების მიწოდებას ქსელის სხვადასხვა მონაკვეთზე იმგვარად, რომ მან მომავალში უზრუნველყოს საკუთარი ინფრასტრუქტურის მოწყობა. შესაბამისად, გაანგარიშებაში შემოთავაზებული მოკლე ვადის გათვალისწინებით დაშვების მსურველის მიზანი დააგენერიროს საკმარისი შემოსავალი იმისათვის, რომ უზრუნველყოს საკუთარი ქსელის მოწყობა მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში ვერ იქნება უზრუნველყოფილი.</p>
--	--	--

კახი ბექაური



თავმჯდომარე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია


ეკატერინე იმედაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ივანე მახარაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია